დავით ახლოური

ისტორიის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ქსნის ხეობის სოფელი ახალდაბა (ბალაანი) – წარსული და დღევანდელობა

ახალდაბა ანუ დღევანდელი ბალაანი მდებარეობს ალევის ქედის დასავლეთ კალთაზე, მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს, ახალგორიდან 27 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1300 მეტრზე. იგი გახლავთ ქარჩოხის ხეობის სოფლების ადმინისტრაციული ცენტრი. 2008 წლის აგვისტოს ომამდე ბალაანში მდებარეობდა საკრებულო, საჯარო სკოლა და სხვა მნიშვნელოვანი დაწესებულებები.

სოფელში აღმართულია ოთხსართულიანი კოშკი, რომელიც გადახურულია ორქანობიანი სახურავით. „კოშკის ქვედა ნაწილი ყრუა, პირველი სართული ერთადერთი კარით 3 მეტრის სიმაღლეზეა. ცხადია, თავის დროზე ადიოდნენ მისადგმელი ხის კიბით. ხის სართულშუა გადახურვა გადაურჩენია სახურავს. გადახურვა შემდეგი კონსტრუქციისა: სანახევროდ გარანდული წვრილი მორები ერთმანეთზე მჭიდროდაა მიწყობილი. ამაზე ზემოდან დასხმულია 30-40 სანტიმეტრის სისქის დუღაბი, ზემოდან დაფენილია ქვის უსწორო ფილები“ [1, 431].

პირველ სართულზე კარის პირდაპირ გამართული ყოფილა ბუხარი, თონე, საყურადღებოა დიდი ზომის ქვევრებიც, რომელსაც, სოფლის უხუცესთა გადმოცემით, სხვადასხვა დანიშნულებისთვის იყენებდნენ.

პირველი სამი სართულის კედლებში სათოფეებია განლაგებუ-

ლი. პ. ზაქარაიას ვარაუდით, მეოთხე სართულის მოპირდაპირე კედლებში ორ-ორი მცირე ზომის ხვრელი შეიძლებოდა გამოეყენებინათ როგორც სინათლის წყაროდ, ისე დაზვერვისთვის. ცნობილი მეცნიერი სტილისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებით მიიჩნევს, რომ ბალაანის კოშკი აგებული უნდა იყოს XVI საუკუნის ბოლოს ან XVII საუკუნის დასაწყისში, რიგითი ოსტატის მიერ პატარა სოფლის მფლობელისათვის, სავარაუდოდ, აზნაურისთვის [1, 431]. ძეგლი ცნობილია ასევე „ცეცხლისჯვრობის" კოშკის სახელწოდებით, სოფლის მოსახლეობა აქ ცეცხლიჯვრობას აღნიშნავდა. ამავე სახელწოდების კოშკი მთიულეთშიცაა, ნასოფლარ ზამთრეულთაში. იგი რამდენიმე თემის სალოცავი იყო და სათვალთვალო კოშკის მისიასაც ასრულებდა, ისევე როგორც ბალაანის კოშკი, რომელიც მტრის შემოსვლისას ცეცხლის მეშვეობით ნიშანს აძლევდა ხეობის სხვა კოშკებს: ძაბუეთს, კვერიათს, პავლიანს... აქედან მომდინარედ მიიჩნევენ სახელწოდება – ცეცხლიჯვარსაც...

კოშკის ჩრდილოეთით მიდგმული ყოფილა შენობა, რომლისგანაც მცირე ფრაგმენტია შემორჩენილი, ასევე შემორჩენილია კოშკის მცირე ზომის გალავნის კვალი.

სოფელში რამდენიმე ქრისტიანული სალოცავია, მათ შორის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელზეც დაშენებულია სამრეკლო. ტაძარს შემოვლებული აქვს გალავანი, იქვე სოფლის სასაფლაოა, გალავნის შიგნით კი – მრავალწლოვანი ბზის ხეები. ს. მაკალათიას მიხედვით, ეს იყო ქარჩოხის ხეობის მოქმედი ეკლესია, სადაც აღესრულებოდა ჯვრისწერა, ნათლობა და სხვა საეკლესიო დღესასწაულები [2, 108]. აღსანიშნავია აგრეთვე კვირაცხოვლისა და ღვთისმშობლის ნიშები, წმინდა გიორგის სახელზე აგებული კიდევ ერთი ნიში და საღვთო სალოცავი, სადაც ბოლო დრომდე სრულდებოდა რელიგიური რიტუალები. ბალაანი მდიდარია კიროვანი მიწით და შირიმის ქვით, რომელიც მტკიცეა და წყალგაუმტარი, მას ხშირად იყენებდნენ კედლების მშენებლობისთვის და ბინების გადასახურად. შირიმის ქვითაა აგებული წმინდა გიორგის ეკლესია.

ახალდაბაში წმინდა გიორგის სახელზე სამი მიწის ნაკვეთი ყო-

ფილა განპიროვნებული: 1. ნაფუძარი (5 დღიური 3 უღლით), 2) ხატიმინა (3 დღიური 3 უღლით) და 3. ჯორთუკანა (2 დღიური 3 უღლით). ვ. ითონიშვილის ინფორმაციით: „ამ სოფლიდან სხვაგან გადასახლებულან ყარამან და გაბო ბალაშვილები. წასვლის წინ ყარამანს მოუტანია თეთრი ბროლის ქვა, სამანი ჩაუსვამს და ადგილი გაუმიჯნავს. ამასთან სოფლისთვის განუცხადებია – ეს ადგილი დღემდე ჩემი იყო და ახლა სოფლისაა. იქვე დაურისხებია, რომ ეს გადაწყვეტილება არ შეცვლილიყო“ [3, 107-110].

ხატის ბეღელში ყოველთვის ინახებოდა გარკვეული მოსავალი. ეს შეიძლება ხატის მიწებიდან მიღებულ ჭირნახულთან ერთად მოსახლეობისაგან ძღვნად მირთმეულიც ყოფილიყო. დასაშვები იყო გაჭირვებული კაცის მიერ ხატის კუთვნილი მოსავლის შესყიდვა, საიდანაც ნახევარს დღეობისთვის გამოიყენებდა და ნახევარს თავისთვის დაიტოვებდა. როგორც აღვნიშნეთ, ხატის მიწები, ძირითადად, წმინდა გიორგის ეკლესიას ეკუთვნოდა (10 დღის სახნავი 3 უღლით), რომლის დამუშავებაც მთელი სოფლის ერთობლივი მოვალეობა გახლდათ. „მოსავალი ხმარდებოდა როგორც დღეობებს, ისე სასოფლო საქმეს. მოწეული 20 ტომარა მარცვლეულიდან (1 ტომარა უდრის 4 ფუთს) 2 ტომარა ხმარდებოდა ლუდის დუღებას, 4 ტომარა სათესლედ გადაინახებოდა, ხოლო დარჩენილი 14 ტომარა მოსავლიდან ნაწილი საკლავისთვის გამოიყენებოდა, ხოლო ნაწილის საფასური სესხადაც გაიცემოდა და გზის შეკეთებასაც ხმარდებოდა. საკუთრივ დღესასწაულების ორგანიზაცია სოფლიდან არჩეულ 4 მნათეს ევალებოდა. აღდგომის, კვირაცხოვლობისა და გიორგობისთვის ისინი „ხატისაგან ასესხებული“ ფულით საკლავებს ყიდულობდნენ, იმავე ფულით ოკამში, ძალისში ან ლამისყანაში ნაყიდ ტკბილს ეკლესიის ქვევრებში ასხამდნენ [3, 107-110].

ქარჩოხის ხეობის სხვა სოფლების მსგავსად, ტოპონიმთა გარკვეული ნაწილი სოფლის სალოცავებს უკავშირდებოდა: კვირაცხოველი – კვირაცხოვლის ნიშზე მიგვანიშნებდა, ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის მამულები იმ ადგილებს ეწოდებოდა, სადაც მათი სახელობის სალოცავები იყო აგებული. საღვთოს ქედზე, რომელიც

სოფლის აღმოსავლეთით მდებარეობდა, საღვთო სალოცავი იყო დაბრძანებული.

როგორც ჩანს, სალოცავებთან ახლოს საკმევლის შესაზავებელი მცენარეებიც ხარობდა, რასაც ტოპონიმი ლერწნითი მიგვანიშნებს. ლერწნითი სახნავი ადგილი იყო. სულხან-საბას მიხედვით „ლერწამი სუნნელია უაღრესი სხვათა სუნელთა სამღრდელოთა საკმეველად აღაზავებენ“ იგი ლერწამს ადარებს ლელწამს – „ყანის ნაწველარსა, გინა ჩალასა“ და დასძენს, რომ „შაქარი მგონიაო“ [4, 411-412].

ბალაანს ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრებოდა ტყე, რომელიც „ბალხამთ მზვარის“ სახელწოდებით იყო ცნობილი, ესეც იმის მიმნიშნებელია, თუ რა როლს ასრულებდნენ სოფლის ცხოვრებაში აქ ბალაშვილებამდე დამკვიდრებული ბალხამიშვილები.

ძველი ახალდაბის სასაფლაოზე განისვენებენ მეზობელი სოფლის – მიდელაანის მკვიდრნი. სოფლის უხუცესის სანდრო მიდელაშვილის (გარდ. 2021 წელს) ცნობით, იმისათვის, რომ მათი მიცვალებულები წმინდა გიორგის ეკლესიის ახლოს დაეკრძალათ, მიდელაშვილებს გარკვეული საფასური გაუღიათ. სასაფლაოს გარდა მიდელაშვილებს მამულებიც ჰქონდათ ბალაანში, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო ქარჩოხის ხეობის მოსახლეობისათვის, ისინი ხეობის სხვადასხვა სოფლებში ფლობდნენ სახნავ-სათიბ ადგილებს, მაგალითად, ბალაანში – მიდელაშვილები და ქენქაძეები, თინიკაანში, მიდელაანში და ქენქაანში – ბალაშვილები და ასე შემდეგ... მთებს, რომელსაც თავის დროზე მეზობელი სოფლის მოსახლეობა თიბავდა, მოიხსენიებდნენ როგორც ქენქაანთ მთა, მიდელაანთ მთა...

არც მამულზე დავა იყო სოფლებს შორის უცხო; დიაკვნის ქედი სოფლების – ჭორჭოხისა და ბალაანის საზღვარზეა. გადმოცემით, ბალაანელებსა და ჭორჭოხელებს მამულების გამო მუდმივად დავა და შფოთი ჰქონიათ. საკითხის მოგვარება სოფლის დიაკვანს გადაუწყვეტია. იგი შეთანხმებულა ჭორჭოხელებთან, რომ წაიღებდა სამანის ქვას ბალაანიდან და სადამდეც შეძლებდა შეუსვენებლად

მის ატანას, იქ იქნებოდა საზღვარი. ღვთის მსახურს დიაკვნის ქედთან ჩაუმუხლავს და იქვე გარდაცვლილა. მისი სამუდამო განსასვენებელიც საზღვრის ქედზეა.

ქსნის ხეობაში და მით უფრო მთიან ზოლში ხშირად ვხვდებით ტოპონიმებს: ახოები, ნატეხები, მაგალითად, ბალაანში მამულებს მოიხსენიებდნენ ორდაანთ ნატეხის, ლექსოს ნატეხის, ლადოს ნატეხის სახელწოდებებით... ამით უკვდავყოფილია იმ დიდი წინაპრების სახელები, რომლებმაც კოლოსალური შრომის საფასურად გაჩეხეს ტყე, მოთხარეს დეკა და იელი და სახნავად მოამზადეს ნიადაგი.

ქსნის ხეობის მოსახლეობის 1774 წლის აღწერით, ახალდაბაში ცხოვრობდნენ მარტიაშვილები, ბალხამიშვილები და ბუთხუზები. სამ ოჯახში 6 მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო:

„ქ: მარტიანთ ბერის შვილი კომლი ა. თავი ბ დათუნა და თამაზა

აქავ ბალხამანთ გვიანას შვილი კომლი ა თავი ა შიო

აქავ ბუთხუზი ივანეს შვილი კომლი ა თავი ბ ქიტია გოგია და ხიზანა“ [5, 690].

1783 წლის აღწერის მონაცემებით, სოფლის მცხოვრებთა შორის ვხვდებით: ბალხამიშვილებს, ფოცხვერაშვილებს (ბალხამიანთ განაყარი) და თინიკაშვილებს:

„ქ ბალხამის შვილი კომლი ა თავი ა თამაზა

აქავ ბალხამის შვილი კომლი ა თავი ბ დათუნა და შიო

აქავ ფოცხვერას შვილი კომლი ა თავი ბ შიო და გოგია

აქავ თინიკას შვილი კომლი ა თავი ბ მოურავი აბრამ და გიორგი“ [5, 650].

თუ ქსნის საერისთავოს 1774 და 1783 წლის სტატისტიკურ აღწერილობებს ერთმანეთთან შევადარებთ, მნიშვნელოვან ცვლილებებს შევნიშნავთ, მაგალითად, მარტიანთ ბერის შვილები დათუნა და თამაზა მომდევნო აღწერაში ბალხამიშვილებად არიან მოხსენიებულები, თავის მხრივ ბალხამიშვილების განაყარი შტოა ფოცხვერაშვილები.

1783 წელს სოფლის მცხოვრებთა შორის ვეღარ ვხვდებით ბუთხუზი ივანეს შვილებს: ქიტას, გოგიას და ხიზანას, რომლებიც იცვლიან

საცხოვრისს და სამხრეთით სოფელ ჭორჭოხში მკვიდრდებიან.

ამასთან, 1774 წლის აღწერაში ახალდაბაში ბალაშვილები არ გვხვდებიან, ხოლო 1783 წლის აღწერაში მოხსენიებული მათი წინაპარი თინიკაშვილების ოჯახი 1774 წელს ქენქაანთკარის მცხოვრებთა შორისაა:

„ქ. თინიკას შვილი კომლი ა. თავი. გ. მოურავი აბრამ ივანე და გიორგი“ [5, 687].

ქსნის ხეობის ჯავახიშვილისეულ მესამე აღწერაში ქარჩოხის მოურავი აბრამი მამის სახელითაა ნახსენები – „ქარჩოხს ბალას შვილის აბრამის სახელო“ [6, 230]. სწორედ მოურავის მამის სახელი უნდა გამხდარიყო საფუძველი შემდგომში გვარის – ბალაშვილის წარმოქმნისა. ახალდაბაში დამკვიდრებული მოურავის შთამომავლები საერთო გვარიდან – თინიკაშვილიდან გამოდიან და გვიანფეოდალურ ხანაში ქარჩოხის ხეობაში მოპოვებულ სოციალურ უპირატესობას შემდგომში ახალი გვარის ქვეშ აფიქსირებენ...

მოურავის სახელს დაუკავშირდა ტოპონიმები: მოურავიანი (სოფლის მოსახლეობის ერთ-ერთი შტო), მოურავიანთ მიწები (სახნავ-სათესი მამულები). მოსახლეობა სხვა შტოებადაც იყოფოდა – მათეანი და ზევითლიანი. სოფლის თავში მოსახლე ბალაშვილებს ზევითლიანებად იხსენიებდნენ, მათეანი წინაპრის პატივსაცემად მის შთამომავლებს ეწოდათ.

1804 წლის პირველი კამერალური აღწერის მიხედვით ახალდაბაში სამი ოჯახი ცხოვრობდა:

შიო მარტიაშვილი, 11 მამაკაცი და 7 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა, 12 დღის – უხნავი (სათიბი), 30 თივის ზვინი, ხაზინისთვის გადაუხდია ნახევარი კოდი (1 კოდი საშუალოდ 10 ლიტრს უდრიდა) ხორბალი, 1 ცხვარი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი.

შიო ბალხამიშვილი, 7 მამაკაცი და 5 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 10 დღის – უხნავი, 20 თივა, გადახდილი აქვს 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი.

პაპა თინიკაშვილი, 10 მამაკაცი და 6 ქალი, 41 დღის სახნავი მიწა, 42 დღის – უხნავი, 130 თივა. გადახდილი აქვს 4 მანეთი და 57 1/2 კაპიკი.

სულ ახალდაბაში 28 მამაკაცი და 18 ქალია აღრიცხული, მათ მფლო-

ბელობაშია 41 დღის სახნავი მიწა, 42 დღის სახნავად გამოუყენებელი, 130 თივა, გადახდილი აქვთ 4 მანეთი და 57 1/2 კაპიკი [7, 68].

როგორც ვხედავთ, ბალაანი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ ახალდაბის სახელწოდებით მოიხსენიება.

სოფელში, მსგავსად XVIII საუკუნის II ნახევრისა, ისევ სამი გვარი სახლობს: მარტიაშვილები, ბალხამიშვილები და თინიკაშვილები. გიორგი და აბრამ თინიკაშვილების შთამომავლები ერთ ოჯახად ცხოვრობენ, გვარსაც ჯერ კიდევ თინიკაშვილს ატარებენ...

ბალაშვილების წინაპრების თავდაპირველი სამკვიდრო თინიკაანი გახლდათ. სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთრის მიხედვით, თინიკაანის მკვიდრთა შორის მოხსენიებულია მოურავი აბრამ თინიკაშვილი [8, 1046], აქედან მისი ოჯახი ჯერ ქენქაანში გადმოსახლდა, შემდეგ კი ახალდაბაში. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მოგვიანებით მათი შთამომავლები უახლოესი წინაპრის, ბალას პატივსაცემად ბალას შვილებად დაეწერნენ. გარკვეული დროის შემდეგ სოფელსაც სახელი შეეცვალა და ძირითადი გვარის მიხედვით ბალაანი ეწოდა. ბალაშვილებს მამაპაპისეულ სამკვიდროში მამულები ჰქონიათ, რომელსაც კოლექტივიზაციამდე ამუშავებდნენ. თინიკაშვილებისა და ბალაშვილების ბიძაშვილები ანუ სახლიკაცები არიან ქსნისხეობელი ახლოურები და ხოკრიშვილები. ამ ოთხი გვარის საერთო წინაპარი ფშაველი გაბიდაურია, ისინი დღემდე იცავენ ფშავში ოდითგანვე დამკვიდრებულ ეგზოგამიის ცნობილ ტრადიციას. ურყევი იყო ნათესაობის შეგნება და ერთი ხატის ყმობის რწმენა, აკრძალული იყო ქორწინება და ერთმანეთის შეყვარება.

1804 წლის აღწერაზე დაკვირვებით ერთი ფაქტის აღნიშვნაც შეგვიძლია: ბალაშვილების წინაპარ პაპა თინიკაშვილს ქარჩოხის ხეობაში ყველაზე მეტი სახნავი და უხნავი მიწები ჰქონია, თუმცა არც ესაა გასაკვირი, ცხადია, მოურავის შთამომავლებს სხვაზე მეტი მიწები ექნებოდათ.

1814 წლის აღწერის მიხედვით ახალდაბაში მცხოვრები მარტიაშვილები თავად შანშე ერისთავსა და მის ძმებს ეკუთვნოდათ, ბალხამიშვილები და ბალაშვილები – თავად შალვა ერისთავსა და მის ძმებს.

თავად შანშე ერისთავისა და მისი ძმების მიწაზე მცხოვრებნი:

კომლი 1. კიკოლა მარტია შვილი – 1 მამაკაცი, 3 ქალი. 5 დღიური მიწა.

კომლი 2. ნინია მარტია შვილი – 3 მამაკაცი, 2 ქალი. 2 ½ დღიური მიწა.

კომლი 3. კაცია მარტია შვილი – 5 მამაკაცი, 4 ქალი. 2 ½ დღიური მიწა.

თავად შალვა ერისთავისა და მისი ძმების მიწაზე მცხოვრებნი:

კომლი 1. ნინია ბალხამი შვილი – 7 მამაკაცი, 1 ქალი. 5 დღიური მიწა.

კომლი 2. მოურავი პაპა ბალა შვილი – 12 მამაკაცი, 5 ქალი. 35 დღიური მიწა [9, 152].

სოფელში ცხოვრობდა 5 კომლი, 28 მამაკაცი და 15 ქალი (46 სული), ამუშავებდნენ 50 დღიურ მიწას. 1804 წლის აღწერასთან შედარებით კომლების რაოდენობა გაზრდილია, თუმცა არა მოსახლეობის ზრდის, არამედ მარტიაშვილების დიდი ოჯახის სამ ცალკე კომლად გაყოფის შედეგად. სამ კომლში სულ 9 მამაკაცი და 9 ქალი იყო (18 სული); ბალხამიშვილები – 7 მამაკაცი და 1 ქალი (8 სული); ბალაშვილები – 12 მამაკაცი და 5 ქალი (17 სული). პირველად სწორედ ამ აღწერაში იხსენიებიან ბალაშვილები ახალი გვარით. 1804 წლის კამერალურ აღწერაში ბალაშვილების წინაპარი მოურავი პაპა თინიკაშვილად იწერებოდა.

1821 წლის კამერალური აღწერის დროს ქსნის ერისთავთა მფლობელობაში მყოფი დღევანდელი ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფლები ანანურის მაზრაში შედიოდა. ახალდაბა თავადების შანშე და ლევან ერისთავის მფლობელობაში იყო. სოფელში ცხოვრობდა 5 კომლი: 20 მამრობითი სქესის და 9 მდედრობითი (29 სული). წყაროში ბალაშვილები ისევ თინიკაშვილებად ეწერებიან. გვარები მითითებულია რუსული დაბოლოებით.

ანანურის მაზრა, ქარჩოხის ხეობა, სოფელი ახალდაბა.

პოლკოვნიკ, თავად შანშე ერისთავის მიწაზე მცხოვრები ყმები:

კომლი 1. ილია შიოს შვილი ბალხამოვი (ბალხამიშვილი), მისი

ძმები: ბასილი შიოს შვილი, იესე შიოს შვილი, ბერი შიოს შვილი. მათი დედა (მდედრობითი სქესის წარმომადგენლების სახელი მითითებული არ არის).

სულ ოჯახში 5 სულია, 4 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 2. პაპა გრიგოლის შვილი თინიკოვი (თინიკაშვილი), მისი მეუღლე, შვილი აბრამი. პაპას ძმები: 1. შალვა გრიგოლის შვილი, მისი მეუღლე, შვილები: შიო და ზაქარია. 2. იოსებ გრიგოლის შვილი, მისი მეუღლე. 3. გარსევან გრიგოლის შვილი, მისი შვილები: გაბიდაური და დავითი.

სულ ოჯახში 12 სულია, 9 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

შანშე ერისთავის მიწაზე ცხოვრობდა 2 კომლი, 13 მამრობითი სქესის და 4 მდედრობითი (17 სული).

თავად ლევან ერისთავის მიწაზე მცხოვრები ყმები:

კომლი 3. ნინია შიოს შვილი მარტიევი (მარტიაშვილი), მისი მეუღლე, შვილი დავითი. ნინიას ძმა გიორგი. მათი ბიძაშვილი კაცია დათუნას შვილი, მისი მეუღლე, შვილი გლახა.

სულ ოჯახში 7 სულია, 5 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 4. შალვა გლახას შვილი მარტიევი (მარტიაშვილი), მისი მეუღლე.

სულ ოჯახში 2 სულია, 1 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 5. კიკოლა თამაზის შვილი მარტიევი (მარტიაშვილი), მისი მეუღლე, ქალიშვილი.

სულ ოჯახში 3 სულია, 1 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ლევან ერისთავის მიწაზე ცხოვრობდა 3 კომლი, 7 მამრობითი სქესის და 5 მდედრობითი (12 სული) [10, 706-709].

1814 წლის აღწერის მსგავსად, ამჯერადაც ახალდაბაში 3 კომლი მარტიაშვილები იყვნენ (7 მამაკაცი, 5 ქალი, 12 სული); 1 კომლი – ბალხამიშვილები (4 მამაკაცი, 1 ქალი, 5 სული); 1 კომლი – თინიკაშვილები (9 მამაკაცი, 3 ქალი, 12 სული).

წინა აღწერებისგან განსხვავებით, 1830-1832 წლებში ჩატარებულ აღწერაში როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის

მცხოვრებნი სახელებით არიან მოხსენიებულნი, მითითებულია მათი ასაკიც. კომლების რაოდენობა ხუთია, თუმცა მკვეთრადაა გაზრდილი მოსახლეობის რაოდენობა: 42 მამრობითი და 25 მდედრობითი სქესის (67 სული). მამულები და ყმები ეკუთვნოდათ შანშე, თორნიკე, გიორგი, ლევან, რევაზ და დავით ერისთავებს.

ანანურის მაზრა, ქარჩოხის ხეობა, ახალდაბა.

პოლკოვნიკ შანშე, პოდპოლკოვნიკ თორნიკე და გენერალ-ლეიტენანტ გიორგი ერისთავების მიწაზე მცხოვრები ყმები:

კომლი 1. ბასილა ნინიას ძე ბალხამიშვილი – 70 წლის, ქვრივი, მისი შვილი იოსები – 35 წლის, იოსების მეუღლე მარინა – 20 წლის, მათი შვილი ფოცხვერა – 4 წლის, ქალიშვილი თამარი – 1 წლის. ბასილის ძმა იესე – 40 წლის, ქვრივი, ბასილის ბიძაშვილები: ბერი – 40 წლის, ოთარი – 35 წლის, შიო – 30 წლის. ოთარის მეუღლე მარიამი – 20 წლის, მათი შვილი მოსე – 2 წლის, 1 სული. შიოს მეუღლე თინათინი – 15 წლის.

სულ 12 სული, 8 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 2. პაპა გრიგოლის ძე თინიკაშვილი (ბალაშვილი) – 68 წლის, მისი მეუღლე ელიზავეტა – 46 წლის, მათი შვილები: ხოსრო – 30 წლის, აბრამი – 25 წლის. ხოსროს მეუღლე დარეჯანი – 20 წლის, მათი შვილები: ანდრია – 7 წლის, მალხაზი – 3 წლის. აბრამის მეუღლე ნინო – 20 წლის, მათი შვილი გაბრიელი – 1 ½ წლის, ქალიშვილი ქეთევანი – 3 წლის, პაპის ძმები: შალვა – 66 წლის, გარსევანი – 64 წლის, ქვრივი, იოსები – 45 წლის. შალვას მეუღლე მაია – 40 წლის, მათი შვილები: ნინია – 26 წლის, შიო – 20 წლის, ზაქარია – 16 წლის. ნინიას მეუღლე მარინე – 20 წლის. შიოს მეუღლე ნინო – 20 წლის. მათი შვილი ელიოზი – 7 წლის. გარსევანის შვილები: გაბიდაური – 25 წლის, გრიგოლ – 22 წლის, დავითი – 15 წლის. გაბიდაურის მეუღლე მაია – 26 წლის, მათი შვილები: გიორგი – 11 წლის, თევდორე – 6 წლის, პეტრე – 2 წლის, ქალიშვილები: დარეჯანი – 8 წლის, თამარი – 5 წლის. გრიგოლის მეუღლე მარია – 15 წლის, 1 სული. იოსების მეუღლე მაია – 25 წლის, მათი შვილები: სოლომონი – 7 წლის, ტარიელი – 4 წლის.

სულ 33 სული, 21 მამრობითი და 12 მდედრობითი სქესის.

შანშე, თორნიკე და გიორგი ერისთავების მიწაზე ცხოვრობდა 2 კომლი, 29 მამაკაცი, 16 ქალი (45 სული), აქედან ბალხამიშვილები – 1 კომლი, 8 მამაკაცი, 4 ქალი (12 სული); თინიკაშვილები (ბალაშვილები) – 1 კომლი, 21 მამაკაცი, 12 ქალი (33 სული).

თავადების პროპორჩიკ ლევან ერისთავისა და მისი ძმების: რევაზ და დავით ერისთავების მიწაზე მცხოვრები ყმები:

კომლი 1. ნინია შიოს ძე მარტიაშვილი – 40 წლის, მისი მეუღლე მაია – 30 წლის, მათი შვილები: დავითი – 12 წლის, შიო – 5 წლის, აბრამი – 3 წლის. მათი ქალიშვილები: ნანო – 4 წლის, ხორეშანი – 2 წლის. ნინიას ძმა გიორგი – 20 წლის, უცოლო. გლახას მეუღლე ქეთევანი – 20 წლის. გრიგოლ მარტიაშვილის ქვრივი ვარვარა – 30 წლის, 1 სული, მისი შვილი ლუკა – 9 წლის.

სულ 11 სული, 6 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

კომლი 2. კაცია დათუნას ძე მარტიაშვილი – 45 წლის, მისი მეუღლე თუთა – 30 წლის. მათი შვილები: გლახა – 16 წლის, დავითი – 13 წლის, თევდორე – 8 წლის, ქალიშვილები: მაია – 7 წლის, ქეთევანი – ½ წლის. კაციას ბიძაშვილი ზურაბი – 28 წლის, უცოლო.

სულ 8 სული, 5 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

მოგვიანებით კომლი გადახაზულია.

კომლი 3. კიკოლა თამაზის ძე მარტიაშვილი – 60 წლის, მისი მეუღლე მარინე – 40 წლის, მათი შვილი გიგოლა – 8 წლის, ქალიშვილი მარინე – 9 წლის.

სულ 4 სული, 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

თავადების ლევან ერისთავისა და მისი ძმების – რევაზ და დავით ერისთავების მიწაზე ცხოვრობდნენ მარტიაშვილები – 3 კომლი, 13 მამაკაცი, 10 ქალი (23 სული). აქედან ერთი კომლი გადახაზულია სოფლიდან მიგრაციის გამო [11, 143-145].

თუ როგორ შეიცვალა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ 60-იან წლებში, ქარჩოხის ხეობაში დემოგრაფიული ვითარება, ამის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანი წყაროა 1860 წლის რუსული კამერალური აღწერა. ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობა იმ

დროისთვის თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში შედიოდა. ტექსტების ნაწილი ქართულ და რუსულ ენებზეა, ნაწილი – მხოლოდ რუსულ ენაზე.

კამერალური სია, შედგენილი 1860 წლის 15 თებერვალს.

სოფელ ბალაანთკარში ლევანის ძეების – ალექსანდრე, მიხეილ, ნიკოლოზ ერისთავების საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლი 1. დავით კაციას ძე მარტიაშვილი – 47 წლის, ამისი შვილები: 1. ნინიკა – 16 წლის, ახალშობილი (ახალშობილში იგულისხმებოდა პირი, რომელიც წინა კამერალური აღწერის დროს დაბადებული არ იყო), 2. გლახა – 13 წლის, ახალშობილი, 3. თედო – 10 წლის, ახალშობილი. დავითის ბიძაშვილი გიგოლა კიკოლას ძე მარტიაშვილი – 36 წლის.

რიცხვი დედაკაცთა – 4.

კომლი – 1. მამრნი – 5. მდედრნი – 4.

აღწერას ახლავს მისი სიზუსტის დამადასტურებული ტექსტი: „ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლობანი და მათ შორის სულნი თხუთმეტის რიცხვსა შინა თებერვლისასა 1960 წელსა ამას სიასა შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსჩნდეს შთამატებული რაიმე, მაშინ ვიყვეთ პასუხის მგებელი საფუძველსა ზედა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელზედაც ხელს ვაწერ თ~ა ალექსანდრე ლევანის ძე ერისთავი“ (ხელმოწერილია).

სოფელი ბალაანთკარი ანუ ახალდაბა. გენერალ მაიორ თავად მამუკა ჯამბაკურ ორბელიანის კნეინა ქეთევანის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

კომლი 2. ხოსრო პაპას ძე ბალაშვილი – 70 წლის, ამისი შვილები: 1. ანდრია – 40 წლის, 2. მალხაზი – 30 წლის, 3. პაპი – 20 წლის, 4. გიორგი – 15 წლის. ძმიშვილები ანდრიასი: 1. თედო – 10 წლის, 2. ნიკო – 8 წლის, 3. ყარამან – 6 წლის, 4. გაბიდა – 4 წლის. ძმიშვილი ხოსროსი გაბრიელ აბრამის ძე – 30 წლის.

რიცხვი დედაკაცთა – 9.

კომლი 3. შალიკო ივანეს ძე ბალაშვილი – 20 წლის, ძმა შალიკოსი მიხეილ – 20 წლის, ბიძაშვილი შალიკოსი დიმიტრი ზაქარას ძე – 5 წლის.

რიცხვი დედაკაცთა – 3.

კომლი 4. სოლომონ იოსების ძე ბალაშვილი – 45 წლის, ძმა სოლომონისა ტარიელ – 32 წლის, შვილები ტარიელისა: 1. სოსიკა – 5 წლის, 2. ივანე – 3 წლის.

რიცხვი დედაკაცთა – 8.

კომლი 5. გაბიდა გარსევანის ძე ბალაშვილი – 72 წლის, ამისი შვილები: 1. პეტრე – 32 წლის, 2. აბრამი – 25 წლის, 3. მოსე – 15 წლის. ძმები გაბიდასი: 1. გრიგორი – 50 წლის, 2. დათიკო – 40 წლის. შვილები დათიკოსი: 1. სოსიკა – 15 წლის, 2. გიორგი – 7 წლის.

რიცხვი დედაკაცთა – 9.

კომლი 6. ბერი გოგიას ძე ბალხამიშვილი – 80 წლის, ამისი ძმა შიო – 50 წლის, შვილები შიოსი: 1. სვიმონი – 15 წლის, 2. ეფრემი – 5 წლის. ძმიშვილები ბერისა, ოთარის ძენი: 1. ნინიკა – 30 წლის, 2. აბრამი – 20 წლის. შვილი ნინიკასი სოსიკა – 5 წლის. ბიძაშვილი ბერისა ფოცხვერა სოსის ძე – 30 წლის.

რიცხვი დედაკაცთა – 9.

კომლი 7. დათიკო იოსების ძე პავლეშვილი (პავლიაშვილი) – 40 წლის, ბიძაშვილები დათიკოსი, შიოს შვილები: 1. მოსე – 38 წლის, 2. ნინიკა – 20 წლის. შვილი მოსესი გიორგი – 1 წლის. ბიძაშვილი დათიკოსი გიორგი დავითის ძე – 28 წლის.

რიცხვი დედაკაცთა – 5.

კომლი გადახაზულია და მითითებულია, რომ უკვე აღწერილია სოფელ პავლიანთკარში.

კომლი 8. ტარიელ მიხეილის ძე პავლეშვილი (პავლიაშვილი) – 50 წლის, ამისი შვილები: 1. ზაქარა – 12 წლის, 2. ბასილა – 6 წლის.

რიცხვი დედაკაცთა – 3.

კომლი გადახაზულია და მითითებულია, რომ უკვე აღწერილია სოფელ პავლიანთკარში.

კომლი – 7. მამრნი – 41. მდედრნი – 46.

სულ სოფელ ბალაანთკარში აღწერილია 8 კომლი, 46 მამრობითი და 50 მდედრობითი სქესის (96 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

შემაჯამებელ ცნობებს ხელს აწერს ქარჩოხის ხეობის ნაცვალი იასე საბიაშვილი და აღმორჩეული კაცნი: გიგოლა ბალაშვილი და ხოსრო ბალაშვილი, რადგანაც ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ხელს აწერს ისაკ დურგლოვი (დურგლიშვილი). [12, 36-43; 13, 10-13].

აღწერიდან ჩანს, რომ სოფელი მოხსენიებულია როგორც ახალდაბის, ისე ბალაანთკარის სახელწოდებით, პავლიაშვილების 2 კომლი ბალაანთკარში შეცდომითაა აღრიცხული. რეალურად, სოფელში 8 კომლის ნაცვლად 6 კომლია, 38 მამაკაცი და 42 ქალი. სამივე გვარი, რომელიც სოფელში XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ცხოვრობდა, საუკუნის მერეც გვხვდება (ქარჩოხის მოურავის ოჯახი თინიკაშვილების ნაცვლად ისევ ბალაშვილებად ეწერებიან). დომინანტი გვარი ბალაშვილები 4 კომლია, 25 მამაკაცი და 29 ქალი (54 სული), მარტიაშვილები – 1 კომლი, 5 მამაკაცი და 4 ქალი, ბალხამიშვილები – 1 კომლი, 8 მამაკაცი და 9 ქალი (17 სული).

1873 წლის აღწერით ბალაშვილები რიცხობრივად უკვე მკვეთრად სჭარბობენ სოფელში მცხოვრებ სხვა გვარებს, სოფელი კვლავინდებურად ორი სახელითაა მოხსენიებული: „ახალდაბა ანუ ბალაანთკარი». აღწერა 10 აგვისტოს ჩაუტარებიათ და პასუხისმგებელნი პირნი ყოფილან სოსია თინიკაშვილი, გიგოლა ბალხამიშვილი და აღდგომელა მიდელაშვილი, ხოლო იმ დროს ახალდაბის საზოგადოების მამასახლისი გიგო კარელიძეა. აღწერის მიხედვით, ბალაანში 12 კომლ დროებით ვალდებულ გლეხს უცხოვრია, 53 მამაკაცსა და 47 ქალს. აქედან შვიდი კომლი ბალაშვილია (34 მამაკაცი, 33 ქალი, 67 სული), სამი – ბალხამიშვილი (11 მამაკაცი, 10 ქალი, 21 სული), ერთი – მარტიაშვილი (4 მამაკაცი, 1 ქალი, 5 სული) და ერთიც – ქანაშვილი (4 მამაკაცი, 3 ქალი, 7 სული), რომელიც სოფელ ჭორჭოხიდან გადმოსახლებულა. ყმები ეკუთვნოდათ მიხე-

ილ ერისთავს (მარტიაშვილები და ქაწაშვილები) და ქეთევან ორბელიანს (ბალაშვილები და ბალხამიშვილები [14, 388-395].

1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით, დუშეთის მაზრის ახალდაბის საზოგადოებაში შემავალი ახალდაბის ანუ ბალაანთკარის მოსახლეობა 15 კომლს შეადგენდა. წყაროში საუბარია მამაკაცებზეც და ქალებზეც, მათ ეთნიკურ წარმომავლობაზე, რელიგიურ კუთვნილებაზე... აღწერაში, პირველ კომლში, მამრობითი სქესის წარმომადგენლებს სამი ასაკი აქვთ მითითებული: 1. აღნიშნავს წლოვანებას წინა 1873 წლის აღწერის მიხედვით; 2. „ვარაუდით, ასე შეხედვით რამდენის წლისა არის"; 3. „წლოვანობა, რამდენისა არის 1 იანვარს, 1886 წლისა".

დუშეთის მაზრა, ახალდაბის საზოგადოება, სოფელი ახალდაბა ანუ ბალაანთკარი:

კომლი 1. ქაწაშვილი ზაქარია გიორგის ძე – 50 წლის, 63 წლის, 62 წლის, ამისი შვილები იოსები – 7 წლის, 20 წლის, 19 წლის, იასონ – 4 წლის, 17 წლის, 16 წლის. ზაქარიას მეუღლე ნინო – 50 წლის, მათი ქალიშვილი სოფია – 7 წლის. იოსების მეუღლე ნინო – 17 წლის. იასონის მეუღლე მარო – 15 წლის. ზაქარიას ძმიშვილი, პეტრეს ქალიშვილი თეკლე – 11 წლის.

სულ ოჯახში 8 სულია: 3 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

კომლი 2. მარტიაშვილი ნიკო დავითის ძე – 25 წლის, 38 წლის, 37 წლის, ამისი შვილი სიმონი – დაბადებული არ იყო, 6 თვის, ნიკოს მეუღლე მარია – 24 წლის, მათი ქალიშვილები: ნატალია – 11 წლის, ნინო – 2 წლის.

სულ ოჯახში 5 სულია: 2 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 3. მარტიაშვილი გლახა დავითის ძე – 19 წლის, 32 წლის, 31 წლის, ამისი შვილები: დავითი – დაბადებული არ იყო, 12 წლის, 11 წლის, გიორგი – დაბადებული არ იყო, 6 წლის, 5 წლის. გლახას მეუღლე ნინო – 28 წლის, მათი ქალიშვილი ევა – 1 წლის. გლახას მამიდა მარია – 40 წლის.

სულ ოჯახში 6 სულია: 3 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 4. მარტიაშვილი თედო დავითის ძე – 15 წლის, 28 წლის,

27 წლის, ამისი ძმა ალექსი – 12 წლის, 25 წლის, 24 წლის, ალექსის შვილები: გიორგი – დაბადებული არ იყო, 7 წლის, 6 წლის, იოსები – დაბადებული არ იყო, 5 წლის, 4 წლის, ეფრემ (ეფრო) – დაბადებული არ იყო, 2 წლის, 1 წლის. ალექსის მეუღლე მარია – 22 წლის. თედოს დედა მარია – 59 წლის.

სულ ოჯახში 7 სულია: 5 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 5. ბალაშვილი ზაქარია გაბრიელის ძე – 4 წლის, 11 წლის, 16 წლის, ამისი მეუღლე ბარბარე – 17 წლის. ზაქარიას დედა ბარბარე – 50 წლის.

სულ ოჯახში 3 სულია: 1 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 6. ბალაშვილი თედო ანდრიას ძე – 23 წლის, 36 წლის, 35 წლის, ამისი შვილი ვანო – დაბადებული არ იყო, 2 წლის, 1 წლის. თედოს ძმები: კიკო – 21 წლის, 34 წლის, 33 წლის, ყარამან – 19 წლის, 32 წლის, 31 წლის, გაბიდა – 17 წლის, 30 წლის, 29 წლის. კიკოს შვილი ხოსრო – დაბადებული არ იყო, 6 თვის. თედოს მეუღლე მარო – 35 წლის. კიკოს მეუღლე ნინო – 25 წლის, ამათი ქალიშვილი თეკლე – 4 წლის. თედოს დედა ნინო – 64 წლის.

სულ ოჯახში 10 სულია: 6 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 7. ბალაშვილი გიორგი ხოსროს ძე – 28 წლის, 41 წლის, 40 წლის, ამისი შვილები: ვასილი – დაბადებული არ იყო, 6 წლის, 5 წლის, ეფრემ (ეფრო) – დაბადებული არ იყო, 1 წლის, 5 თვის. გიორგის მეუღლე ნინო – 30 წლის, ამათი ქალიშვილები მაია – 13 წლის, ბაბალე – 8 წლის. მალხაზის ქვრივი მაგდანა – 40 წლის. პაპის ქვრივი ნინო – 35 წლის, მათი ქალიშვილი დარეჯან – 13 წლის.

სულ ოჯახში 9 სულია: 3 მამრობითი და 6 მდედრობითი სქესის.

კომლი 8. ბალაშვილი შალვა ივანეს ძე – 33 წლის, 46 წლის, 45 წლის, ამისი ბიძაშვილი დიმიტრი ზაქარიას ძე – 18 წლის, 31 წლის, 30 წლის, დიმიტრის შვილი შიო – დაბადებული არ იყო, 6 თვის. შალვას მეუღლე მაგდანა – 37 წლის, ამათი ქალიშვილები: მარინე – 3 წლის, თიკო – 6 თვის. დიმიტრის მეუღლე ლიზა – 25 წლის.

სულ ოჯახში 7 სულია: 3 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 9. ბალაშვილი მიხეილ ივანეს ძე – 33 წლის, 46 წლის, 45

წლის, ამისი შვილები: ზაქარია – დაბადებული არ იყო, 11 წლის, 10 წლის, სერგო – დაბადებული არ იყო, 7 წლის, 6 წლის, დავით – დაბადებული არ იყო, 3 წლის, 2 წლის. მიხეილის მეუღლე მართა – 35 წლის.

სულ ოჯახში 5 სულია: 4 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 10. ბალაშვილი მათე სოლომონის ძე – 28 წლის, 41 წლის, 40 წლის, ამისი შვილები: ზაქარია – 3 წლის, 16 წლის, 15 წლის, ნიკო – 1 წლის, 14 წლის, 13 წლის. მათეს მეუღლე მართა – 34 წლის, მათი ქალიშვილები: სოფო – 4 წლის, ნინო – 2 წლის. ზაქარიას მეუღლე მარიამი – 15 წლის.

სულ ოჯახში 7 სულია: 3 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 11. ბალაშვილი დავით გარსევანის ძე – 53 წლის, 66 წლის, 65 წლის, ამისი შვილი იოსები – 28 წლის, 41 წლის, 40 წლის, იოსების შვილები: თევდორე – 4 წლის, 17 წლის, 16 წლის, ნიკო – 2 წლის, 15 წლის, 14 წლის, ანდრია – დაბადებული არ იყო, 10 წლის, 9 წლის, ვასილი – დაბადებული არ იყო, 7 წლის, 6 წლის. დავითის ძმიშვილები, ბადილას ძენი: პეტრე – 45 წლის, 58 წლის, 57 წლის, აბრამი – 38 წლის, 51 წლის, 50 წლის. პეტრეს შვილები: ივანე – 10 წლის, 23 წლის, 22 წლის, გაბო – 3 წლის, 16 წლის, 15 წლის. აბრამის შვილი გიგო – დაბადებული არ იყო, 5 წლის, 4 წლის. დავითის ბიძაშვილი დიმიტრი მოსეს ძე – დაბადებული არ იყო, 7 წლის, 6 წლის. იოსების მეუღლე მართა – 35 წლის, მათი ქალიშვილები: ნატო – 3 წლის, მინადორა – 1 თვის. პეტრეს მეუღლე მაია – 42 წლის. აბრამის მეუღლე ანნა – 36 წლის, მათი ქალიშვილი ნინო – 2 თვის.

სულ ოჯახში 18 სულია: 12 მამრობითი და 6 მდედრობითი სქესის.

კომლი 12. ბალაშვილი იოსებ ტარიელის ძე – 20 წლის, 33 წლის, 32 წლის, ამისი შვილი იაკობი – დაბადებული არ იყო, 4 წლის, 3 წლის. იოსების ძმები: ივანე – 10 წლის, 23 წლის, 22 წლის, რაჟდენი – 5 წლის, 18 წლის, 17 წლის. იოსების მეუღლე მარიამი – 27 წლის. რაჟდენის მეუღლე ნინო – 14 წლის.

სულ ოჯახში 6 სულია: 4 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 13. ბალხამიშვილი ფოცხვერა სოსიას ძე – 43 წლის, 56

წლის, 55 წლის, ამისი შვილები: იოსები – 12 წლის, 25 წლის, 24 წლის, გიორგი – 2 წლის, 15 წლის, 14 წლის. იოსების მეუღლე ელიზავეტა – 17 წლის. ფოცხვერას დედა მარინე – 97 წლის.

სულ ოჯახში 7 სულია: 2 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

კომლი 14. ბალხამიშვილი გიორგი შიოს ძე – 25 წლის, 38 წლის, 37 წლის, ამისი შვილი ბესო – დაბადებული არ იყო, 4 წლის, 3 წლის. გიორგის ძმა ეფრემი (ეფრო) – 18 წლის, 31 წლის, 30 წლის. გიორგის ძმიშვილები, სვიმონის ძენი: ივანე – 2 წლის, 15 წლის, 14 წლის, ნიკო – დაბადებული არ იყო, 8 წლის, 7 წლის, ლექსა – დაბადებული არ იყო, 6 წლის, 5 წლის. გიორგის მეუღლე მარინე – 30 წლის. ეფრემის მეუღლე ეფემია – 18 წლის. ივანეს დედა მართა – 30 წლის.

სულ ოჯახში 9 სულია: 6 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 15. ბალხამიშვილი ნინიკა ოთარის ძე – 43 წლის, 56 წლის, 55 წლის, ამისი შვილი გიგო – 2 წლის, 15 წლის, 14 წლის. ნინიკას ძმიშვილი ალექსი აბრამის ძე – 9 წლის, 22 წლის, 21 წლის. ნინიკას მეუღლე მართა – 40 წლის, მათი ქალიშვილი ბარბარე – 12 წლის. ალექსის დედა ფეფო – 40 წლის, ამისი ქალიშვილები: მართა – 7 წლის, ნინო – 6 წლის.

სულ ოჯახში 8 სულია: 3 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

სულ სოფელ ახალდაბაში იგივე ბალაანთკარში ცხოვრობდა 113 სული, 61 მამრობითი სქესის და 52 მდედრობითი. ქართველები. მართლმადიდებელი ქრისტიანები [15, 133-144]. რაც მეცხრამეტე საუკუნის კამერალური აღწერებიდან განსაკუთრებით შესამჩნევია, ეს არის ახალდაბაში დამკვიდრებული ბალაშვილების დიდ ოჯახებად ცხოვრება. 1804 წლის აღწერის მიხედვით, ბალაშვილების წინაპარ პაპა თინიკაშვილის ოჯახი 16 წევრისგან შედგებოდა, 10 მამაკაცი და 6 ქალი, 1831-1832 წლებში იგივე ოჯახი 21 მამაკაცსა და 12 ქალს აერთიანებდა (33 სული), 1860 წლის მონაცემებით ხოსრო პაპას ძე ბალაშვილის ოჯახში 19 სული იყო, 10 მამაკაცი, 9 ქალი. 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით დავით ბალაშვილის ოჯახში 12 მამაკაცი და 6 ქალი იყო (18 სული). ზოგადად, ამ გვარის ხალხი ქსნის ხეობაში ცნობილი იყო „დიდბალაანის“ სახელით.

ს. მაკალათიას მონათხრობით: „რევოლუციამდე (1917 წლამდე – დ. ა.) სოფლის ბოლოს ყოფილა ერთი დიდი დარბაზი, სადაც უცხოვრია „დიდბალაანთ ოჯახს. ოჯახის უფროსი ყოფილა უხუცესი თედო. ოჯახის წევრები – 75 სული, ჰყოლიათ 15 000 ცხვარი. ახლა დარჩენილია ერთი ძველი დარბაზი ლევან ბალაშვილისა“ [2, 107). დიდ-ბალაანის ოჯახის შესახებ საინტერესოა ასევე ვ. ქენქაძის მიერ ჩაწერილი მაშო გიორგის ასულ ბალაშვილის მონათხრობი, რომლის მიხედვით 75 სულიან ოჯახს ცხვრის დიდი ფარის გარდა ჰყოლია 80 სულამდე მსხვილფეხა საქონელი, 24 ცხენი, ჰქონიათ სახნავ-სათესისა და სათიბ-საძოვრების დიდი სავარგულები, „ოჯახში ერთდროულად 9 აკვანი ირწეოდა. სამკალ-სათიბზე 20-მდე მუშა მამაკაცი და 15 ქალი გადიოდა... ყოველდღიურად პურის გამოცხობაზე ესაჭიროებოდათ ერთი კოდი ანუ 64 კილოგრამი ფქვილი, წელიწადში კი 23360 კილოგრამი, რაც მარცვლეულის დიდ მარაგს მოითხოვდა“ [16, 45].

სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, ახალდაბაში (ასეა წყაროში მითითებული) 12 კომლი ცხოვრობდა, 46 მამაკაცი და 57 ქალი (103 სული) [17, 167].

1939 საკავშირო აღწერაში სოფლის სახელწოდებად მითითებულია ბალაანი, სადაც 143 სული ცხოვრობდა, 66 მამაკაცი, 77 ქალი, 1959 წელს – 114 სულს უცხოვრია. 1870 წელს 119 მცხოვრები იყო, 47 მამაკაცი და 72 ქალი; 1979 წელს – 131, 61 მამაკაცი, 70 ქალი; 1989 წელს – 102, 46 მამაკაცი, 56 ქალი. [18].

2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ბალაანში 121 ადამიანი ცხოვრობდა, 60 მამაკაცი და 61 ქალი [19, 120-121]. 2008 წლის აგვისტოს ომამდე ბალაანში, ცხადია, ძირითადად – ბალაშვილები ცხოვრობდნენ, მხოლოდ რამდენი ოჯახი იყო სხვა გვარის, კერძოდ, აქ ცხოვრობდნენ ასევე ქაწაშვილები, ბალხამიშვილები, ბუნტურები, ელოშვილები და ჩიტიშვილები... ყველა მათგანი ქართველი იყო.

2016 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, საქართველოში და საზღვარგარეთ სულ 505 ბალაშვილი ცხოვრობს:

თბილისში – 101, ბათუმში – 3, გორში – 100, რუსთავში – 5, გარდაბანში – 7, ქობულეთში – 1, ოზურგეთში – 3, თელავში – 67, სოხუმში – 3, გურჯაანში – 1, ხაშურში – 3, საგარეჯოში – 2, ლაგოდეხში – 2, ქარელში – 13, კასპში – 47, მცხეთაში – 8, ყვარელში – 14, გულრიფში – 2, დუშეთში – 1, ხარაგაულში – 1, თიანეთში – 1, ახალგორში – 117, საზღვარგარეთ – 2 [20, 49].

ბოლო წლებში ბალაანის მოსახლეობა თანდათან შემცირდა, მიგრაციის შედეგად არაერთი ოჯახი გადასახლდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, უმეტესად ქართლის ბარში. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დევნილი მოსახლეობის ნაწილი ფრეზეთში დასახლდა, ნაწილი – წეროვანში... სიმბოლურია ალბათ ისიც, რომ ფრეზეთში მცხოვრები ქარჩოხის ხეობელი ბავშვები დღეს ახალდაბის საჯარო სკოლაში სწავლობენ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. პარმენ ზაქარაია, ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია, თბილისი, 2002.
2. სერგი მაკალათია, ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, თბილისი, 1968.
3. ვახტანგ ითონიშვილი, ნარკვევები ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან, თბილისი, 2003.
4. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბილისი, 1991.
5. ექვთიმე თაყაიშვილი, თხზულებანი, ტ., 12, თბილისი, 2022.
6. ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი 1, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები, თბილისი, 1967.
7. გორის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), ყოფილი ქსნის სახელმწიფო საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წელს, №7486.

8. ქართული სამართლის ძეგლები, ტ., III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1970.
9. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 367.
10. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 689.
11. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1247.
12. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 254.
13. დავით ახლოური, ქსნის, ლეხურისა და მეჯუდის ხეობების მოსახლეობა XIX საუკუნის 60-იან წლებში, თბილისი, 2025.
14. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 226.
15. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 1791.
16. ვიტალი ქენქაძე, დიდი ოჯახი ქსნის ხეობიდან, ჟურნალში ჩვენი „უნივერსიტეტი", 2011 (5).
17. სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჯამები, ნაწილი II, დემოგრაფია, ნაკვეთი I, ტფილისი, 1926.
18. მოსახლეობის სრულიად საკავშირო 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლების აღწერების შედეგები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020.
19. საქართველოს მოსახლეობის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2002.
20. კახაბერ კვაჭანტირაძე, ქართული და ქართულ-ებრაული გვარ-სახელები, თბილისი, 2017.

David Akhlouri
Doctor of History, Associate Professor of
Gori State University

Akhaldaba (Balaani) village in the Ksani Valley – Past and present

Summary

The article talks about the village of Karereltkari in the Ksani Gorge, which belonged tothe Karchokhi community.

The religious existence of the village and the shrines there are reviewed. Attention is paid to estates called khatimitsi, their cultivation and harvest distribution.

In order to present the demographic picture of the village, the book of Samtavisi seat of the second half of the 18th century, the statistical descriptions of Ksni Saeristavo in 1774 and 1783, through which we get to know the dynamics of the rural population of the relevant period, the views imposed on them, here existing agricultural branches, existing relations between serfs and lords.

Analysis of 19th-century sources begins with the 1803 royal census, followed by Russian chamber censuses beginning in 1804 and ending with the 1886 census.

The population of the 20th century is discussed according to the union censuses of 1923, 1939, 1959, 1970, 1979 and 1989.An important place is given to the situation of the beginning of the twenty-first century and the subsequent occupation of Akhalgori municipality. It should also be noted that the majority of chamber or union descriptions of the XIX-XX centuries are published for the first time, which makes the research topic more important and relevant.

The reasons and consequences of population migration from the village are analyzed.

In order to better present the past of the village, together with historical sources, attention is paid to the folklore material preserved by the population of the Ksani valley.

At the end of the paper, there is talk about the deplorable condition of the occupied Village.